ტრენინგის ანგარიში

22.07.2012

2012 წლის 22 ივლისს, თბილისის მასწავლებლის სახლში ჩატარდა ტრენინგი თემაზე „სქემაში ჩართული მასწავლებლების მიერ არჩეული აქტივობების (კვლევა, პროექტი, ისგ) ეფექტურად განხორციელების სტრატეგიები“. (ტრენერი მაკა მამფორია)

ტრენინგის ხანგრძლივობა იყო 5 საათი. იგი ჩატარდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებით.

ტრენინგის პროგრამის შინაარსი მოიცავდა შემდეგ თემატიკას:

1. მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემა;
2. პედაგოგიური კვლევა;
3. პროექტი, პროექტგაკვეთილი;
4. სსსმ მოსწავლე (ინდივიდუალური სასწავლო გეგმა);
5. ანგარიშის ფორმის განხილვა;
6. მასწავლებლის პორტფოლიო.

ტრენინგზე განისაზღვრა მასწავლებელთა სქემაში ჩართვის მიზანი:

- ხელი შეუწყოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლა – სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას;
- ხელი შეუწყოს მასწავლებლის კომპეტენციის ამაღლებას, მის პროფესიულ განვითარებას და კერიერულ ზრდას.

პროფესიული განვითარების სქემაში ჩართვით მასწავლებელს შეუძლია მოიპოვოს :

- პირველი კატეგორიის მასწავლებლის სტატუსი;
- უმაღლესი კატეგორიის მასწავლებლის სტატუსი.

ტრენინგის მსვლელობისას დეტალურად იქნა განხილული თუ როგორ შეუძლია სქემაში ჩართულ მასწავლებელს კრედიტების მოგროვება, რჩართული მასწავლებლისთვის, საიდანაც ოგორ უნდა შეარჩიოს და დაგეგმოს მისთვის სასურველი აქტივობები. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემულ „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის გზამკვლევში“ დეტალურადაა აღწერილი ყველა ის აქტივობა, რომელიც საჭიროა სქემაში ჩართული მასწავლებლისთვის, მოცემულია თითოეული აქტივობისათვის შესაბამისი კრედიტ ქულები, რომელთა მოპოვება გაწერილია 7 წელზე. საგულისხმოა, რომ ამ შვიდი წლის განმავლობაში შემოთავაზებული აქტივობებიდან მასწავლებელმა უნდა ამოირჩიოს და განახორციელოს სულ მცირე შვიდი აქტივობა, რომელიც დაძლევადი იქნება მისთვის.

აქვე აღინიშნა, რომ მასწავლებლის მასწავლებლის მიერ შერჩეულ აქტივობებზე ჩატარებული მუშაობა დოკუმენტურად უნდა იყოს აღწერილი და პორტფოლიოს სახით წარმოდგენილი, რომელსაც გააკონტროლებს მპგეც-ის მონიტორინგის ჯგუფი. მუშაობის დაწყებამდე მასწავლებელმა უნდა შეადგინოს სქემაში ჩართვის შემდგომ განსახორციელებელი აქტივობების გეგმა გადანაწილებული 7 წელზე. აღსანიშნავია ისიც, რომ მუშაობის პროცესში მასწავლებელს წელიწადში ორჯერ შეუძლია გეგმაში ცვლილებების შეტანა.

მეორე უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელზეც გამახვილდა დიდი ყურადღება იყო თუ როგორ უნდა წარმართოს მასწავლებელმა პედაგოგიური კვლევა.

დღეს ყველასთვის ცნობილია **ეროვნული სასწავლო გეგმის ფუნდამენტური პრინციპი --**

შედეგზე ორიენტირება და მასწავლებლისთვის საშუალებელის მიცემა თავად ეძიოს და აირჩიოს შედეგის მისაღწევად უკეთესი გზა, რაც მასწავლებელს მკვლევარად აყალიბებს.

კვლევა არის ახალი ცოდნის ძიება, მისი სისტემატური დოკუმენტირება და გაფორმება კვლევის ანგარიშის, სტატისს, პროექტის, პრეზენტაციის სახით.

კვლევა მიზნად ისახავს:

- კონკრეტულ სფეროში არსებული ინფორმაციული ვაკუუმის ამოვსებას;
- ახალი ცოდნის მიღებას ან უკვე არსებული ცოდნის შემოწმებას.

მკვლევარ-მასწავლებელს შეუძლია:

- პედაგოგიური საქმიანობის დროს წამოჭრილი პრობლემების იდენტიფიცირება;
- პრობლემის გადაჭრის გზების ძიება და პოვნა;
- ახალი იდეების, ინოვეციების, სტრატეგიების პედაგოგიურ პრაქტიკაში დანერგვა.

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევას აქვს შემდეგი ეტაპები:

- კვლევის ამოსავალი პუნქტის/საკვლევი თემის შერჩევა.
- არსებული მდგომარეობის შესწავლა და ანალიზი.
- კვლევის მიზნის დასახვა.
- კვლევის ობიექტის განსაზღვრა.
- კვლევის მეთოდების განსაზღვრა.
- მონაცემების შეგროვება.
- მონაცემების გაანალიზება, ინტერპრეტაცია და დოკუმენტირება.
- კვლევის ანგარიშის მომზადება.

მომდევნო საკითხი, რომელზეც ტრენინგზე გამახვილდა ყურადღება, იყო **სსსმ ბავშვთა სწავლების სტრატეგიები ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით**. ისგ-ის შედგენისას იცვლება არა მარტო სასწავლო მეთოდები და სტრატეგიები, არამედ სასწავლო მიზნებიც.

ისგ-ის შედგენისას აუცლებელია შემდეგი ეტაპების გავლა:

- ინფორმაციის შეგროვება და მის საფუძველზე მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება.
- მიმართულების განსაზღვრა გულისხმობს სკოლის ადმინისტრაციისა, ისგ-ის კოორდინატორის, პედაგოგების და სხვა პროფესიონალების ჩართულობას.
- ისგ-ის შემუშავება (გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები, როდესაც ხდება სწავლების სტრატეგიების განსაზღვრა, სწავლების პროცესის სხვა დამატებითი საკითხების დაზუსტება, როგორიცაა მოსწავლის სასწავლო განრიგი, საჭირო დამხმარე საშუალებები, მოსწავლის წახალისება და სხვა.
- ისგ-ის განხორციელება. მიზანი მიღწეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის მიერ დაგროვილი შეფასება სტაბილურია, თუ გაუარესდა, უნდა მოხდეს დასახული მიზნებისა და შემუშავებული პროგრამის გადახედვა.
- ისგ-ის გადახედვა/გადაფასება და განახლება. მნიშვნელოვანია ყოველი განსაზღვრული ცვლილების ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში დოკუმენტირება.

ისგ-ის ძირითადი კოპონენტებია:

- დემოგრაფიული მონაცემები
- მოსწავლის შეფასების შედეგები (ძლიერი და სუსტი მხარეები)
- გრძელვადიანი მიზნები
- მოკლევადიანი მიზნები
- მიღწეული სედეგების მონიტორინგი
- ისგ-სთან დაკავშირებული შეხვედრების ოქმები

სქემაში ჩართული მასწავლებლისთვის ერთერთი მნიშვნელოვანი საკითხია **პროექტგაკვეთილის დაგეგმვა,** რომლის დროსაც ვითარდება კვლევითი, შემოქმედებითი, თანამშრომლობისა და საკომუნიკაციო უნარები.

პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების საფეხურებია:

- პრობლემის გამოკვეთა და განსაზღვრა.
- პრობლემის ჩამოყალიბება და წარმოდგენა.
- პრობლემის შესახებ ინფორმაციისა და რესურსების ორგანიზება და ცოდნის მობილიზება.
- შესაძლო ალტერნატივების ან გადაჭრის გზების მოძიება.
- პრობლემის გადაჭრის სტრატეგიების შერჩევა.
- შერჩეული სტრატეგიის განხორციელება და პროგრესზე დაკვირვება.
- შედეგის შემოწმება და შეფასება.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების დროს მოსწავლე სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეა, მასწავლებელი ქმნის ღია და მხარდამჭერ გარემოს, მოსწავლე ახდენს ცოდნის სისტემატიზაციას და მიღებულიცოდნის რეალურ ცხოვრებასთან ინტეგრირებას, სწავლა მოსწავლისთვის ხდება უფრო საინტერესო და სახალისო, ზრდის მათში შინაგან მოტივაციას, უვითარდებათ მაღალი სააზროვნო უნარები, ჯგუფური მუშაობის, თანამშრომლობისა და კომუნიკაციის უნარ-ჩვევები.

პრობლემაზე

დაფუძნებული სწავლების ერთერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდი პროექტით სწავლებაა, ხოლო პროექტგაკვეთილი წარმოადგენს სწავლების განსაკუთრებულ ფორმას, სადაც მასწავლებელი და მოსწავლეები ერთობლივად ფორმულირებულ თემას/საკითხს, პრობლემას მიმართავენ, რომლის დასამუშავებლად განავითარებენ გეგმას, მონაწილეობენ მის გადაჭრაშიდა ერთ სართო პროდუქტს წარმოადგენენ.

როგორ ფორმდება პროექტის გეგმა?

- პროექტის დასახელება.
- პრობლემის განსაზღვრა და მისი აქტუალობის დასაბუთება.
- მიზანი.
- ამოცანები და განხორციელების გზები.
- მოსალოდნელი შედეგები.
- შეფასება და თვითშეფასება.
- პროექტის ბიუჯეტი.

ტრენინგზე მნიშვნელოვანი ყურადგება გამახვილდა ასევე მასწავლებლის **პორტფოლიოზე,** რომელიც არის მასწავლებლის საქმიანობის და პროფესიული მომზადების, უწყვეტი პროფესიული განვითარების, პრაქტიკული საქმიანობის ანალიზია, შეფასებისა და პროფესიული წარმატების დამადასტურებელი დოკუმენტების ერთობლიობა დროის გარკვეულ მონაკვეთში.

აქვე დეტალურად იქნა განხილული თუ რა დოკუმენტაცია უნდა შეიტანოს მასწავლებელმა თავის პორტფოლიოში და მასწავლებლებს მიეცათ რეკომენდაციები, თუ როგორ აწარმოონ პორტფოლიო.

და ბოლოს მასწავლებლებს მიეცათ წერილობითი ანგარიშის ფრმა და რეკომანდაციები მის დასაწერად.

ეს ტრენინგი მნიშვნელოვანი იყო ირადად ჩემთვის, რადგან მივიგე პასუხი ყველა იმ პრობლემურ საკითხზე, რომელიც გაუგებარი რჩებოდა სქემაში ჩართვის დროს. ყველა ის რეკომენდაციას, რომელიც მივიგე ამ ტრენინგიდან, სასწავლო წლის დასაწყისშივე გავაცნობ კოლეგებს, ვინაიდან სკოლის წარმატებული მუშაობის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სიახლსსბის დანერგვა სკოლაში და მასწავლებელთა შეთანხმებული მუშაობა ესგ-ის წარმატების განხორციელების საქმეში.

ხელმოწერა:

თარიღი: